ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №4
2016 წლის 20 იანვარი

დ. ასპინძა

ასპინძის მუნიციპალიტეტის დაბა ასპინძის ზოგიერთი ქუჩის სახელწოდების გადარქმევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ა.ე) ქვეპუნქტის და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის“ მე-5 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების საფუძველზე, ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

გადაერქვას სახელი ასპინძის მუნიციპალიტეტის დაბა ასპინძის ქუჩებს და ეწოდოს:

- თამარის ქუჩას – მეფე თამარის სახელი;
- ერეკლე II-ეს ქუჩას – მეფე ერეკლე II-ის სახელი;

- აღმაშენებლის ქუჩას – მეფე დავით აღმაშენებლის სახელი;

- გორგასლის ქუჩას – მეფე ვახტანგ გორგასლის სახელი.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ასპინძის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — მამუკა მელიქიძე